ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. აკადემია სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე აცხადებს საბაკალავრო პროგრამების მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საბაკალავრო პროგრამებზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით.

3. აკადემია, ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სტუდენტების მიღების გამოცხადების შემთხვევაში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სტუდენტების ჩარიცხვისათვის რექტორის ბრძანებით აცხადებს ადგილებს – ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობის:

ა) 5%-ს – მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის;

ბ) 5%-ს – მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის;

გ) 1%-ს – მხოლოდ ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის;

დ) 1%-ს – მხოლოდ ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის.

4. შესაბამის წელს დარეგისტრირებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩასარიცხი აბიტურიენტების რაოდენობის გათვალისწინებით, აკადემიას უფლება აქვს მოტივირებული გადაწყვეტილებით თანხმობისათვის მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროცენტული გადანაწილებების შეცვლის მოთხოვნით მათი ჯამის ფარგლებში.

5. აკადემია იღებს მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს ისწავლონ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სიების შესაბამისად.

სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შევსებული ანკეტა;

გ) პირადობის მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს);

დ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი. ორიგინალის არარსებობის შემთხვევაში-ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ე) ორი ფერადი ბიომეტრული ფოტოსურათი;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზ) იმ ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რა ენაზეც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა. დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძება ჩაითვალოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

- წინმსწრები განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პირმა წინმსწრები განათლება მიიღო პროგრამის განხორციელების ენაზე;
- ქართული ენის შემთხვევაში, არაქართულენოვანი პირებისათვის- ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინგლისური ენის შემთხვევაში, საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტი (ინგლისურის, როგორც მეორე უცხო ენის ტესტის ჩაბარების დოკუმენტი ან სხვა);
- აკადემიის ენების სკოლის მიერ ჩატარებული სასერთიფიკატო გამოცდის შედეგების გათვალისწინებით გაცემული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.